პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и местkома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 24 (160)
ოთხშაბათი
3 ოქტომბერი
1956 წ.
ფასი 20 კაპ.

ფესტივალი ორგანიზებულად უნდა ჩავატაროთ

ჩვენს უნივერსიტეტში

„დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხების" განხილვა

როცა დრო

მრავალტირაჟიანი გაზეთი ჩაის პლანტაციებში

აგრონომი

გადაჭრით გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა

21 სექტემბერს ჩატარდა ჩვენი უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ღია პარტიული კრება, რომელზედაც მოხსენებით „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების და უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციის ამოცანების შესახებ" გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. მჟავანაძე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, — თქვა მომხსენებელმა, — უდიდეს ზრუნვას იჩენენ საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, საბჭოთა სტუდენტობისადმი, იმ თაობისადმი, რომელმაც პრაქტიკულად უნდა განახორციელოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილური ამოცანა. პარტიის 11 ყრილობამ გარდაუვალად ამხილა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და საერთოდ ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

იდეოლოგიურ მუშაობაში სერიოზულ ჩავარდნებს ჰქონდა ადგილი უნივერსიტეტშიც. ზოგიერთ მეცნიერულ შრომაში შეიმჩნეოდა ნაციონალისტური იდეები, საქართველოს ისტორიული წარსულის ცალკეული საკითხების ანტიმარქსისტული პოზიციებიდან გაშუქების ტენდენციები, მათში მიჩქმალული და დაკნინებული იყო რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა.

მომხსენებელმა და სიტყვებში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ჩვენს მუშაობაში არსებული იმ უმთავრესი ნაკლის შესახებ, რომ ბევრ შემთხვევაში მეცნიერული მუშაობა მოწყვეტილი იყო პრაქტიკული ცხოვრებისაგან, წარმოებისაგან, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებისაგან. ასევე, უნივერსიტეტში სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა უშუალოდ დაკავშირებული არ იყო სასწავლო პროცესთან.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის უარყოფითმა შედეგებმა განსაკუთრებით მწვავე და თავისებური ფორმა მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ბერიას მავნებლური ბანდა ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ძირი გამოეთხარა ჩვენი ხალხის ერთობლიობისათვის, დაეთესა ხალხთა შორის ნაციონალური შუღლი.

ცნობილია, რომ ხალხის დაუძინებელი მტერი, იმპერიალიზმის აგენტი ბერია და მისი ხროვა წლების განმავლობაში ატარებდნენ საქართველოს არაქართველი მოსახლეობის იზოლაციის, მათი კულტურის ლიკვიდაციის, ამ ხალხების ასიმილაციის ხაზს, ცდილობდნენ ჩაენერგათ ქართველი ხალხისათვის ეროვნული განსაკუთრებულობის გრძნობა, რათა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახისაგან მოეწყვიტათ ქართველი ხალხი. ბერიასა და მისი ბანდის მხილების შემდეგ მთელი რიგი ღონისძიებანი იქნა მიღებული დაშვებულ დამახინჯებათა ლიკვიდაციისათვის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარებისათვის.

უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის კრებაზე

ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულმა ნაკლოვანებებმა ასახვა პოვა იმ სერიოზულ ჩავარდნებში, რასაც ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციაში იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ცალკეულ საკითხებში. კრებაზე სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომ პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილი ჯერ კიდევ იფარგლება მხოლოდ ლექციების წაკითხვით და სტუდენტთა აღზრდას კი ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ამიტომ არის, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი, იჩენს რა დაუინტერესებლობას, გაურბის ლექცია-სემინარებზე დასწრებას. ამასთან, კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმასაც, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს ლექცია-სემინარების ჩაშლის შემთხვევებსაც არა მარტო სტუდენტთა, არამედ პროფესორ-მასწავლებელთა გამოუცხადებლობის მიზეზით.

მხოლოდ სასწავლო-აღმზრდელობითსა და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებით შეიძლება აიხსნას სტუდენტთა მხრივ დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ის ცალკეული შემთხვევები, რომელთა აღმოფხვრაც დღემდე ვერ მოხერხდა. ამის მაგალითად დასახელებულ იქნა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების — ფალიევის, ანანიაშვილისა და იკოშვილის საბჭოთა სტუდენტისათვის შეუფერებელი და სახელისგამტეხი საქციელი, რაც გამოიხატა მათ მიერ სასწავლო პრაქტიკაზე ყოფნის დროს დებოშის ატეხასა და მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში.

ახალგაზრდობაში ნაციონალისტურ, წვრილბურჟუაზიულ შეხედულებათა გადმონაშთების აღმოფხვრის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის გაუმჯობესებისათვის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში ამ კათედრის წევრმა ამხ. თ. ბუაჩიძემ. მან აღნიშნა, რომ კათედრამ გადაწყვიტა მოამზადოს კრებული საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურული თანამეგობრობის თემაზე. მოაწყოს გაერთიანებული სხდომები მოძმე ერევნის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის კათედრასთან; გადადგმულია ნაბიჯები მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს და ერევნის უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო წრეებთან ჩვენი უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის სტუდენტთა სამეცნიერო წრის კავშირის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის და სხვ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს სტუდენტთა ქალაქში მცხოვრებ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობებზე. აღნიშნეს რა სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების ერთგვარი გაუმჯობესება, რასაც ადგილი აქვს ამ ბოლო დროს, ამავე დროს ხაზი გაუსვეს სტუდენტთა ქალაქში სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების ბაზით ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, რაც უხათოდ უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზეც. აღინიშნა აგრეთვე, რომ გასული სასწავლო წლის დასასრულს შეიმჩნეოდა როგორც უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, დეკანატებისა და ცალკეულ პროფესორ-მასწავლებელთა, ისე ზემდგომი ხელმძღვანელი ამხანაგების დაინტერესება სტუდენტთა ქალაქში მცხოვრებ სტუდენტთა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პირობებით. მოსალოდნელი იყო, რომ ახალი სასწავლო წლიდან ეს კარგი საქმე მტკიცედ დამკვიდრდებოდა. მაგრამ მოხდა პირიქით — ამ ბოლო დროს ეპიზოდური ხასიათი მიიღო როგორც უნივერსიტეტის, ისე ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენელთა მხრივ სტუდენტთა ცხოვრების ცალკეული საკითხებით დაინტერესებამ.

სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა ხ. ქლენტმა, გ. ინწკირველმა, ჰ. ქეონიამ, გ. ჯანჯღავამ და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში გააკრიტიკეს იდეოლოგიური მუშაობის დარგში არსებული ნაკლოვანებები, სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესების საქმეში პროფესორ-მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის სუსტი მონაწილეობა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ფორმალიზმი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა ლ. გორგილაძემ, გ. ხავთასმა, კ. გარდაფხაძემ, გ. ტივაძემ და შ. რეხვიაშვილმა.

კრებამ იდეურ-თეორიულსა და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში აღმოსაფხვრელად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

კრეაგენულ ლაბორატორიაში

მრავალფეროვანი და საინტერესო სამუშაოები ტარდება ფიზიკის ფაკულტეტის კრეაგენულ ლაბორატორიაში.

აქ გარდა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტების, ასპირანტებისა და მეცნიერ-მუშაკებისა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერ-თანამშრომლებიც.

ამ ლაბორატორიის ხშირი სტუმარია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი გ. თუმანიშვილი, რომელიც ლაბორატორიის მთელი კოლექტივის სათანადო დახმარებით მუშაობს მის მიერ აღებულ სამეცნიერო თემაზე.



სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი გ. თუმანიშვილი კრეაგენულ ლაბორატორიაში კალორიმეტრულ დანადგართან მუშაობის დროს.

ანგარიშგება-არჩევნები კომკავშირულ ორგანიზაციებში

კრებაზე დავალებებს ამზადებდნენ...

დადგა მნიშვნელოვანი პერიოდი საუნივერსიტეტო კომკავშირულ საქმიანობაში: ფაკულტეტებზე დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამ კრებებზე უნდა დაჯამდეს, გაანალიზდეს ის მუშაობა, რაც ფაკულტეტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ჩაატარა სასწავლო წლის განმავლობაში.

ცხადია საანგარიშო კრებაზე გამოჩნდება ფაკულტეტის კომკავშირული ცხოვრების სურათი.

რისი თქმა შეიძლება ამ მხრივ იურიდიული ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების შესახებ, რომელიც 28 სექტემბერს ჩატარდა?

კრება ორგანიზებულად დაიწყო, თუ არ მივიღებთ გამონაკლისად აუდიტორიის სივიწროვეს. ვრცელი მოხსენებით წარუდგა ფაკულტეტის კომკავშირლებს კომკავშირის ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ამხ. ი. კარტოზია. მოხსენებამ ნათელი წარმოდგენა მისცა მსმენელებს ბიუროს მიერ ჩატარებულ მუშაობაზე, რომელიც შინაარსიანი და მრავალმხრივი იყო. მაგრამ ვის ვგულისხმობთ მსმენელებში? ეს იყო აუდიტორიის სულ მცირე ნაწილი. დამსწრე კომკავშირელთა დიდი უმეტესობა სრულ უყურადღებობას იჩენდა მოხსენების მიმართ. კრება კარგად გამოიყენეს „ბეჯითმა სტუდენტებმა". თვალში გვეცემოდათ გადაშლილი წიგნები და რვეულები: კრებაზე სტუდენტები დავალებებს ამზადებდნენ...

მსმენელთა გულგრილობა სავსებით გამომჟღავნდა მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში. ის კრება, სადაც არ არის კრიტიკა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პირდაპირობა და, თუ საჭიროა, მოურიდებლობაც, ვერ დაიმსახურებს მოწონებას, არც საჭირო შედეგი მოჰყვება მას. იურიდიული ფაკულტეტის კრება კი სწორედ ასეთი იყო. კამათში გამოვიდა 8 ამხანაგი, ამათგან მხოლოდ ოთხი სტუდენტი. ჩანდა თუ არა საქმისადმი სიყვარული, უკეთესისადმი სწრაფვა, ნაკლოვანებების კრიტიკა მოკამათეთა გამოსვლებში? პასუხი ერთია—არა! ოთხივე სტუდენტის გამოსვლა ულიმღამო და საქმიან კრიტიკას მოკლებული იყო და მხოლოდ მოვალეობის მოხდას წარმოადგენდა.

საერთოდ, კრება მიმდინარეობდა დუნედ, მოწყენილად, დაბალ იდეურ დონეზე. მოკამათეებს არ წამოუყენებიათ პრინციპული, საჭირბოროტო საკითხები.

ა. ბასილაია, ბ. ცქიტიშვილი.

უფრო საინტერესო გავხადოთ კომკავშირული მუშაობა

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაცია წლების მანძილზე სუსტადართმევდა თავს მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას და მის ბიუროს ხშირადაც აკრიტიკებდნენ, თუმცა საქმეს გამოკეთების პირი არ უჩანდა. მაგრამ ამ წელს, ალკკ კომიტეტის მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებებისა და იმის შედეგად, რომ ფაკულტეტის პარტბიურომ და დეკანატმა კომკავშირულ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა თავის სისხლხორცეულ საქმედ გაიხადეს, აღნიშნულ კომკავშირულ ორგანიზაციაში უკვე საგრძნობი გახდა გამოცოცხლება, მუშაობის გაუმჯობესება.

ამიტომ ბუნებრივია, რომ სერიოზულ ინტერესს იწვევდა ფაკულტეტის ალკკ ბიუროს ანგარიშგება-არჩევნები, რომელზედაც ჩვენ მოველოდით, რომ საქმიანი ანალიზი გაუკეთდებოდა გასული სასწავლო წლის მანძილზე ჩატარებულ მუშაობას და გაიშლებოდა მკვეთრი კრიტიკა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მოლოდინი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა.

ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივნის ამხ. ბ. ჯიჯეიშვილის საკმაოდ საქმიანი, მაგრამ არასაკმაოდ თვითკრიტიკული მოხსენებიდან ის დასკვნა გამოიტანეთ, რომ ბიურომ, მართალია, შეძლო მუშაობის ერთგვარი გადახალისება, მაგრამ მაინც ნაკლები შეურიგებლობით იბრძოლა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თუ დეკანატი დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ლებულობდა მთელ რიგ ადმინისტრაციულ ზომებს, კომკავშირის ხაზით მათ მიმართ არავითარი ღონისძიება არ გატარებულა.

მომხსენებელმა დასაბუთებული კრიტიკული შენიშვნები გააკეთა ალკკ ბიუროს ცალკეულ სექტორთა, კერძოდ, კულტმასობრივი მუშაობის, საყოფაცხოვრებო და ფიზკულტურული სექტორების მისამართით და რჩევის სახით დაასახელა რამდენიმე ღონისძიება, რომელთა გატარებითაც, მისი აზრით, ახლადარჩეული ბიურო შეძლებს აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის ამაღლებას. ამ ღონისძიებათა შორის უცნაურად მოგვეჩვენა რჩევა ფრიადოსან და არაფრიადოსან სტუდენტთა შეხვედრების მოწყობის შესახებ. განა უკეთესი არ იქნებოდა ამის ნაცვლად საკითხი დასმულიყო მოწინავე სტუდენტთა მიერ ჩამორჩენილებისადმი პრაქტიკული დახმარების გაწევის შესახებ?

მკვეთრი კრიტიკული სიტყვით გამოვიდა II კურსის ალკკ ბიუროს მდივანი ი. კენჭოშვილი, რომელმაც ფაკულტეტის ალკკ ბიურო სამართლიანად გააკრიტიკა კურსბიუროზე სუსტი, ზერელე ხელმძღვანელობისათვის, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ნაკლოვანებანი ყოფილი პირველი კურსის კომკავშირულ ორგანიზაციაში.

კრებაზე მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13 ამხანაგმა. ეს არც თუ ცოტაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ამხანაგის გამოსვლაში უფრო ლობა უფრო იგრძნობოდა, ვიდრე საქმისადმი ინტერესით დაინტერესებულება. ამ გარემოებას გაუსვა ხაზი სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა — უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ი. გოქაძემ და ფაკულტეტის დეკანმა დ. ფანჩულიძემ. კრებამ აირჩია ფაკულტეტის ალკკ ბიურო და დელეგატები უნივერსიტეტის XVI კომკავშირული კონფერენციისათვის.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ სამწუხარო ფაქტს, რომ კრებაზე ბევრი სტუდენტი ერთმანეთში საუბრით იყო გართული და გამოსული ამხანაგებისათვის მოსმენის ნაცვლად მოუთმენლად ელოდა კრების დასასრულს. იყო დისციპლინის აშკარა დარღვევის შემთხვევებიც.

აღნიშნული ვითარება პირდაპირ მიუთითებს იმ ამოცანაზე, რომელიც ამჟამად ქვაკუთხედად უნდა იქცეს ახლადარჩეული ალკკ ბიუროს მუშაობაში. კონკრეტულად ეს შემდეგში მდგომარეობს: ფაკულტეტის ყოველმა კომკავშირელმა საბოლოოდ უნდა შეიგნოს, რომ კომკავშირული მუშაობა ეს მშრალი ადმინისტრირება და ოქმების წერა როდია, რომ კომკავშირული მუშაობა ეს არის შემოქმედებითი, ცოცხალი, კოლექტივის ყოველი წევრის ინტერესებიდან გამომდინარე საქმე. იქ, სადაც კოლექტივის ცალკეული წევრები გულგრილად ეკიდებიან საერთო საქმეს, სადაც არაა აქტივი შეხმატკბილებული, თუ რა ძალად შეიძლება იქცეს კომკავშირი, როცა იგი სწორად წარმართავს თავის მუშაობას, იქ ადვილად იკიდებს ფეხს ბიუროკრატობა და კანცელარიობა. მართალია, ხელმძღვანელობის როლი დიდია, მაგრამ ვერავითარი ბიურო ვერ უზრუნველყოფს მუშაობის მკვეთრ აღმავლობას, თუ ორგანიზაციის თვითეულ წევრი არ შეიგნებს, რომ კომკავშირული მუშაობა მისი პირადი საქმეა, რომ კრებაზე დასწრება არასასიამოვნო მოვალეობის მოხდა კი არაა, არამედ მის ინტერესებთან, კოლექტივის ინტერესებთან, საქმის ინტერესებთან დაკავშირებული საჭიროებაა. ამ ფართო აღმზრდელობით მუშაობის ჩატარებას თავის მხრით ხელი უნდა უწყობდეს ცოცხალი, შემოქმედებითი კომკავშირული მუშაობის გაშლა.

ა. ადეიშვილი

მათი მუშაობაც დამაკმაყოფილებლად შეფასდა!

28 სექტემბერს ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა პროფკავშირის ბიუროების ანგარიშგება-არჩევნები იყო დანიშნული. გასულ სასწავლო წელს, როგორც წესი, ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული განყოფილების სტუდენტთა პროფბიუროს წევრები მხოლოდ საწევროების აკრეფის დროს გამოჩნდებოდნენ ხოლმე და, მათ ნახვას მონატრებულებმა, ვიპოვეთ თუ არა საშუალება მათთან „რიგგარეშე" შეხვედრისა, სიხარულით მივაშურეთ სააქტო დარბაზს. თუმცა ბიუროს წევრთა ნახევარი ჩვენთვის უცნობი იყო, მაგრამ სტუდენტთა პროფბიუროს თავმჯდომარის ამხ. გოგოჭურის ირგვლივ დარაზმულებს საქმიანი გამომეტყველებით გამოიცნობდა კაცი.

კრება 3 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მზადებასა და მღელვარებაში 25 წუთი ისე გავიდა, დაგვიანება არავის არ შეუნიშნავს. 3 საათსა და 25 წუთზე იხსნება კრება. ტრიბუნაზეა პროფესორ-მასწავლებელთა პროფბიუროს მდივანი ამხ. ო. ბაქანიძე.

მან საანგარიშო მოხსენება მეტად სასიამოვნო განცხადებით დაიწყო: ჩვენს მუშაობაში არანორმალურობას ადგილი არ ჰქონიაო, თუმცა იქვე დასძინა: რაც უნდა გაგვეკეთებინა—არ გაკეთებულა, გვქონდა ოცნებები, მაგრამ განუხორციელებელი დაგვრჩაო! მომხსენებელმა ძველი ოცნებების განხორციელება მომავალ ბიუროს მიანდო, სანტად დარჩენილ მსმენელებს წარმატება უსურვა და ტრიბუნა გოგოჭურს დაუთმო.

გოგოჭურმა გულახდილად უამბო კრებას ჩატარებული მუშაობის ნაკლებზეც და დადებითზეც. განსაკუთრებით საწევროების აკრეფის სიძნელეს უჩიოდა იგი, თუმცა ისიც არანაკლებ უწუხებდა გულს, რომ კინო-თეატრებში კოლექტიური სვლის ბილეთების ფული მას დარჩა გადასახდელად, რადგან სტუდენტებმა წარმოდგენაზე დასწრების შემდეგ ფულის გადახდაზე უარი განაცხადეს, აქაო და სპექტაკლი არ მოგვეწონაო.

ამბობენ, კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა გოგოჭური, მაგრამ რეგლამენტის სიმცირემ შეუშალა ხელიო. ამ მცირე დროში მხოლოდ ნაკლის თქმაღა შეძლო, დადებითი მერმისისთვის გადასდოო; შეიძლება ასეც იყოს. ანდა რა გასაკვირია: როგორ მოასწრებდა იგი 10 წუთიან რეგლამენტში ყველაფრის თქმას, როცა მთელი ერთი წლის მანძილზე ერთხელ მეტად ვერ მოასწრო პროფბიუროს სხდომის ჩატარება!..

კრებამ მოისმინა ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული განყოფილების პროფბიუროს თავმჯდომარის ამხ. ქიშმარიას საანგარიშო მოხსენებაც.

„საქმიან ანგარიშს" „საქმიანი" კამათიც მოჰყვა. რადგან სიტყვით გამოსვლის სურვილი არავის აღმოაჩნდა, ამიტომ თავმჯდომარეს ძალით მოუხდა „მოკამათეთა" გამოძახება. ასეთი მოულოდნელობისაგან დაბნეულმა ამხ. ოგანეზოვმა 3 წუთი ტრიბუნასთან ფიქრს მოანდომა—რაზე ვილაპარაკოო, დანარჩენი ორი წუთი კი ბოდიშის მოხდისთვის გამოიყენა—მზად არ ვიყავი სიტყვაში გამოსასვლელადო.

ისევ პროფესორ-მასწავლებლებმა იხსნეს კრება. კამათში მონაწილეობა მიიღეს: პროფ. პ. ბერაძემ, დოც. ვ. ხაძემ, ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივანმა ი. ბოცვაძემ, და პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. დ. ჯაბიძემ.

კრებამ ო. ბაქანიძის გულახდილი განცხადება—არაფერი გაგვიკეთებიაო — მას ჩვეულ თავმდაბლობად ჩაუთვალა და მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო! დამაკმაყოფილებლად შეფასდა გოგოჭურის და ქიშმარიას მუშაობაც.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში სიტყვა „დამაკმაყოფილებელი" ყველაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რასაც იგი უნდა აღნიშნავდეს.

პ. ლაზარაშვილი

სტუდენტები სამეცნიერო ექსპედიციაში

სტუდენტთა სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა ყოველ ზაფხულს ტრადიციად იქცა უნივერსიტეტში. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ეს ექსპედიცია მიმდინარე წელს. სამეცნიერო ნაწილის პრორექტორის დახმარებით ფილოლოგიის ფაკულტეტმა შვიდი სამეცნიერო ექსპედიცია გაგზავნა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და საქართველოს ფარგლებს გარეთ. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა 60 სტუდენტი. მათ საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ ქართული ენისა და კავკასიური ენათა კათედრები.

სამი დიალექტოლოგიური ექსპედიცია გაიგზავნა თიანეთის, დუშეთისა და სიღნაღის რაიონებში და ენის შემსწავლელი ოთხი ექსპედიცია — სვანეთში, აფხაზეთის, ყაბარდოსა და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკებში. დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს თანაბარი, მთიული და კახური კილოების შესწავლასთან ერთად ევალებოდათ მასალების შეკრება დიალექტოლოგიური ატლასისათვის, ამისათვის ექსპედიციის წევრებს დარიგებული ჰქონდათ ახალი ქართული ენის კათედრის მიერ შემუშავებული სათანადო ინსტრუქცია. ივლისის პირველ რიცხვებში ექსპედიციები უკვე დანიშნულ ადგილებზე იყვნენ. მიელინების კადა ერთი თვით განისაზღვრებოდა.

დუშეთის ექსპედიცია 6 კაცის შემადგენლობით მუშაობდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ც. კალაძის ხელმძღვანელობით. ნ. მახარაძე, თ. გვერდწითელი, ი. კალაძე სოფელ არაგვეთში დაბინავდნენ. ექსპედიციის ერთი წევრი ი. ჩოლოყაშვილი გაემგზავრა ყაზბეგის რაიონში, საღაც ალ. ყაზბეგის მოხევური ლექსიკა უნდა შეემოწმებინა და ახალი სალექსიკონო მასალებიც შეეკრიბა. ფ. მაკალათია და გ. ხორნაული ფშაველებისაკენ გაემართნენ.

• • •

სოფელი არაგვეთი სამხედრო გზის პირას მდებარეობს, რის გამოც იქ მცხოვრებ მთიულთა მეტყველება საკმაოდ შეცვლილია. თანახმად მითითებისა რამდენიმე დღეს მათს მეტყველებაზე ვაკვირდებოდით დაკვირვებას, რის შემდეგ მეუდომლად შევუძლი მასალის ჩაწერა. ამ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ პირველკურსელები. მათთვის ასეთი სახის მუშაობა ჯერჯერობით უცხო იყო, ამავე დროს საპასუხისმგებლოც, მაგრამ გამოცდილი ხელმძღვანელის დახმარებით ეს დაბრკოლება მალე იქნა დაძლეული.

ადგილობრივ მოსახლეობასთან გაცნობისა და დაახლოების შემდეგ მუშაობა კარგად წარიმართა. თითონვე გვესაუბრებოდნენ ცნობილ მოქმედებს და ყოველმხრივ გვიწყობდნენ ხელს მუშაობაში. ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო იყო ინსტრუქციის მიხედვით მასალის შეკრება და ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება; ვიწერდით იქ გავრცელებულ ლეგენდებს, ზღაპრებს, ლექსებს, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, საოჯახო ნივთებისა და მათი ნაწილების სახელებს, დამახასიათებელ გამოთქმებს და სხვ. დაწვრილებით აღვწერეთ პურეულის მოვანა, არაყისა და ლუდის გამოხდა, ქსოვა და სხვ. საგანგებოდ შევისწავლეთ ამ დარგების ტერმინოლოგია. მასალის შეკრება გვეხდებოდა ოჯახებში, წისქვილში, მინდვრებში მუშაობის პროცესში, მწყემსებთან საძოვრებზე და ყველგან, სადაც კი სოფლის ხალხი იყრიდა თავს. ისინი განსაკუთრებული ხალისით გვიამბობდნენ მათი საყვარელი გმირების შესახებ.

ადგილობრივი მეტწილად მოხუცთა საუბრები ჩავიწერა, რადგანაც ახალგაზრდობა სკოლაშია აღზრდილი და ლიტერატურული ენით ლაპარაკობს. ამის გამო ხშირად შეინიშნება ლიტერატურული და დიალექტური ფორმების აღრევა ერთმა ახალგაზრდამ საუბრის დროს სიტყვა „გაზრდილი" იხმარა, რომელსაც სიტყვის დაზუსტებისათვის მისი განმეორება ვთხოვეთ, დაეჭვებით გვითხრა — სწორად არ ვთქვით, გამოთქმა, რომ „გაზრდილება" გაკეთება ნიშნავს. ეს სიტყვა არაზვავთში ხშირად ალიოც კი იყოდა. ასევე დაკარგული მთის კილოებისათვის მეტად დამახასიათებელი ბგერა ჴ. მას მხოლოდ ღრმა მოხუცები და სკოლაში მცირენაწვლენი თუ ხმარობენ... ჩაწერილ ტექსტს რამდენჯერმე ვამოწმებდით, რათა სწორი დასკვნები გამოგვეტანა.

სოფ. არაგვეთის გარდა ექსპედიციამ მასალები შეკრიბა ქვეშეთში, ბედოშში და ხადაში. ხადა საკმაოდ დაშორებული სამხედრო გზიდან და მაღალი მთის ფერდობებზე შეფენილი, იგი შედარებით სოფლისაგან შედგება. მოსახლეობა ძირითადად მესაქონლეობას მისდევს, ამიტომ იქ ყველაზე მეტად მწყემსებს ნახავთ. იქ ჩვენ ვესაუბრეთ რამდენიმე მწყემსს. ერთმა თავის თავგადასავალს „ჩემი გადასავალი" უწოდა. განსაკუთრებით საინტერესო საუბარი გაგვიმართა ასი წლის მოხუცმა ჯღენია ნარაიძემ. იგი მისი წლოვანების მიუხედავად თავს საკმაოდ მხნედ გრძნობს.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სურათზე: სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილე სტუდენტები ხოდალაში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა

155 წლის წინათ, 1801 წლის 24 სექტემბერს, გამოქვეყნდა მანიფესტი იმპერატორ ალექსანდრე პირველის ხელმოწერით რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ. საქართველოს რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა უდიდესი მნიშვნელობის პროგრესულ მოვლენას და მობრუნების აქტს ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში. ეროვნული თვითმყოფობის გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფმა ქართველმა ხალხმა რუსეთის მფარველობაში პოვა თვითმყოფობის შენარჩუნებისა და ეკონომიურ-კულტურული აღმავლობის ერთ-ერთი გზა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მაშინ მეფე და მემამულენი მართავდნენ და ასეთი სისტემის პირობებში საქართველო კოლონიური ჩაგვრის უღელს ვერ აცდა, ამ ისტორიული აქტით განმტკიცდა რუსი და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობა, საერთო გახდა მათი ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ. ეს ხანგრძლივი ბრძოლა, მიმართული რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმისა და სოციალ-პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის მუშათა კლასის ირგვლივ იმპერიის არარუს ხალხებს აერთიანებდა, დაგვირგვინდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით, რამაც რუსეთის იმპერიის მშრომელებს თავისუფლება მიანიჭა და კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ერთიან ძმურ ოჯახად შეაკავშირა.

• • •

რუსეთთან შეერთებამ ქართველი ხალხი, პირველყოვლისა, ფიზიკურ მოსპობას გადაარჩინა. საქართველომ რუსეთთან შეერთებით არა მარტო თავიდან აიცილა მონობა ირან-ოსმალეთისა, რომლებიც მარქსისა და ენგელსის დახასიათებით „ფეოდალიზმის ყველაზე დაბალსა და ბარბაროსულ ეტაპზე იდგნენ" და ყველაზე საშინელ ასიმილატორებს წარმოადგენდნენ, არამედ დაიმკვიდრა მშვიდობა და მყუდროება, მოიშუშა ჭრილობები. ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული ომების შედეგად ჩაიშალა არა მარტო ირან-ოსმალეთის, არამედ მათს ზურგს უკან მდგომი დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ზრახვები საქართველოს დაპყრობის შესახებ. ამასთან, საქართველომ დაიბრუნა თურქი დამპყრობლების მიერ დიდი ხნის წინათ მიტაცებული ტერიტორიის დიდი ნაწილი.

მაგრამ მარტოოდენ ამ პოლიტიკური ფაქტორით როდი ამოიწურება საქართველოს ეკონომიური ცხოვრების სწრაფი აღმავლობა. როგორც ცნობილია, რუსეთთან შეერთებამდე მტრული გარემოცვის პირობებში საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო სამეურნეო ცხოვრებისაგან განზე იდგა და მხოლოდ ნგრევას განიცდიდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ კი ეს გარემოცვა გარღვეულ იქნა. მშვიდობიანი ცხოვრების ვითარებაში შესაძლებელი გახდა მეურნეობის განვითარება, ინტენსიფიკაცია. საქართველო რუსული ბაზრის ფერხულში ჩაება და რუსეთთან ერთად კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა. კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესში ირღვეოდა პარტიკულარიზმი, სამეურნეო კარჩაკეტილობა, იზრდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, მომრავლდა ქალაქები, გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი, ხალხის შემოქმედებითმა ენერგიამ მეტი გასაქანი პოვა.

კაპიტალიზმის განვითარებამ თვითმპყრობელობა აიძულა გაეტარებინა სავლეხო რეფორმა. რეფორმის შემდეგ საწარმოო ძალთა განვითარება უფრო სწრაფი გახდა, ამავე დროს დასრულდა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესიც. კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში წარმოშვა მუშათა კლასი, რომელიც მხარში ამოუდგა რუსეთის პროლეტარიატს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა არა მარტო ქვეყნის ეკონომიური წინსვლა, არამედ ქართველი ხალხის სულიერი კულტურის აღმავლობაც.

რუსული კულტურის ტრადიციებზე აღიზარდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შესანიშნავი თაობანი, რომელთაც მთელი ძალღონე ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას და ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს მოახმარეს. ქართველ პროგრესულ საზოგადო მოღვაწეებს, ცარიზმს რომ ებრძოდნენ, შესანიშნავად ესმოდათ რუს ხალხთან მეგობრობის მნიშვნელობა, რადგან რუსეთის პროგრესულ კლასებს ისევე სძულდათ იმპერიის რეაქციული მმართველი წრეები, როგორც პოლონელებსა და უკრაინელებს, ბალტიისპირელ, შუაზიელ და ამიერკავკასიელ ხალხებს.

ქართველი და რუსი მშრომელი მასების საბრძოლო მეგობრობა განსაკუთრებით განმტკიცდა მას შემდეგ, როდესაც რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით დღის წესრიგში დააყენა ცარიზმის დამხობისა და ხალხთა განთავისუფლების დიადი ამოცანა. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც თავისი ინტერნაციონალური დროშის ქვეშ რუსეთის ყველა ერის მშრომელებს აერთიანებდა, 1905 — 1907 წლებში პირველი მძლავრი იერიშები მიიტანა თვითმპყრობელობის ბურჯზე, ხოლო 1917 წლის ოქტომბერში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია განახორციელა. ოქტომბრის რევოლუციამ დაანგრია ხალხთა საპყრობილე, მოსპო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა და რუსეთის იმპერიის ხალხებს თავისუფლება დაუმკვიდრა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა, ზრდისა და აყვავების ხანა დაიწყო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლისა და კომუნისტური პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის პირადი მზრუნველობით საქართველომ, ისე როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებმა, მოკლე დროში განვლო აღორძინების გიგანტური გზა, განახორციელა დიადი სოციალისტური გარდაქმნები. საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხთა მეგობრობას შესძინა ახალი, სოციალისტური საზოგადოების მაცოცხლებელი ძალა.

ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში მყოფი ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში.

დოც. ა. სურგულაძე

სტუდენტები სამეცნიერო ექსპედიციაში

(დასასრული)

ხადა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო კუთხეა. იქ კარგადაა შემონახული მთიულურის დამახასიათებელი მოვლენები.

ასეთივე ხასიათის მუშაობა ჩაატარეს ერწო-თიანეთის ექსპედიციის წევრებმაც, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ დოცენტი პ. ხუბუტია და უფროსი ლაბორანტი ლ. ჭეიშვილი. მათ თიანეთის რაიონის ბევრი სოფელი მოიარეს. მეოთხეკურსელმა სტუდენტებმა ნ. გრძელიძემ და თ. ღვინაძემ სოფ. ჩაბანოში, ჭიათურასა და ახალსოფელში შეკრიბეს მასალები; ნ. მელაძემ და ლ. გოდერძიშვილმა — ტუშურებსა და ზურაბებში, შ. არაბული საქერსა და წიკლიაანთკარში მუშაობდა. ექსპედიცია გაეცნო აგრეთვე თვით თიანეთის, სოფ. ეებოტისა, ღულელებისა და ზარიძეების მცხოვრებთა მეტყველებას.

ერწო-თიანეთის მოსახლეობის შემადგენლობა ძალიან საინტერესოა. აქ სახლობენ ფშაველები, ხევსურები. ძველთაგანვე — კახელები და სხვები — ცალცალკე სოფლებად ან შერეულად. ზოგან კარგადაა დაცული ხევსურული თუ ფშაური კილო, ზოგან კი შეცვლილია და ლიტერატურულ ენას უახლოვდება.

აქ ძალიან გავრცელებულია ხალხური პოეზიის ნიმუშები. თითქმის ყოველი ამბავი, რომელიც ფშაველთა თვალსაზრისით საგულისხმოა, გალექსილია. ექსპედიცია დაუზარებლად კრებდა ამ საინტერესო ფოლკლორულ მასალასაც.

ერწოს მეტყველება ახლოს დგას თიანურთან და ამის გამო ექსპედიციის მუშაობა უფრო ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებით განისაზღვრა.

სიღნაღის რაიონის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მ. მინჯიაშვილი, მ. ჩერქეზიშვილი და მ. ბოქოლიშვილი. მათ მიერ შეკრებილი მასალა მოიცავს ზღაპრებს, ლეგენდებს, თქმულებებსა და ლექსიკას. მართალია, ქიზიყური მეტყველება საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ არის სოფლები, რომლებშიც საჭირო იყო დამატებითი მუშაობა.

რამდენადმე სხვაგვარი იყო ენის შემსწავლელ ექსპედიციათა მუშაობის ხასიათი. ისინი, უპირველეს ყოვლისა, სწავლობდნენ ენებს, ითვისებდნენ რთულ წარმოთქმას და ლექსიკას, დამოუკიდებლად აწარმოებდნენ გრამატიკულ მოვლენათა ანალიზს.

სვანეთის ექსპედიციამ მეცნიერებათა კანდიდატის ზ. ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით იმუშავა ზემო სვანეთში — მესტიასა და ლალამში. ექსპედიციის მონაწილენი იყვნენ: ასპ. ნ. გოგუაძე, ლაბ. ლ. ბარამიძე, სტუდენტები ქ. გაგუა, მ. სოხაძე, ც. უნდილაშვილი, გ. გოგიაშვილი, ძ. მიქელაძე, გ. რაფავა, მ. კობალაძე და ნ. დალაქიშვილი. ისინი სწავლობდნენ სვანურ ენას, კრებდნენ ანდაზებს, გამოცანებს, გადმოცემებს და ლექსიკურ მასალას. იწერდნენ მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, ქსოვის და სხვა დარგების მდიდარ ტერმინოლოგიას, ეცნობოდნენ სვანების ყოფა-ცხოვრებას, ძველსა და ახალ ჩვევებს.

აფხაზური ენის შემსწავლელი ექსპედიცია დაბინავდა გაგრის რაიონში (სოფ. ლიძავა). ექსპედიციაში შედიოდნენ სტუდენტები ლ. ბიწაძე, ლ. ენუქიძე, ლ. გელენიძე, ო. კიკნაძე, ნ. როსტიაშვილი, ლ. ჯღამაია და ნ. ცქიტიშვილი.

აფხაზებმა პირველი შეხვედრისთანავე გამოამჟღავნეს ჩვეული სტუმართმოყვარეობა, რამაც გააადვილა მათთან დაახლოებაცა და მუშაობაც. ლიძავის მცხოვრებლები აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტზე მეტყველებენ. ამ დიალექტის ფონეტიკური შემადგენლობა გარკვეული სირთულით ხასიათდება. ექსპედიციის წევრები აჩვევდნენ ყურს მათს მეტყველებას. მათ მიერ უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა იმდენად ფართო და მტკიცე აღმოჩნდა, რომ მეორე დღესვე შეძლეს დაეწყოთ ლექსიკისა და ფრაზების ჩაწერა. ისინი თვითონ ადგენდნენ ფრაზებსა და პატარა ტექსტებს, ბოლოს ცადეს მოზრდილი ტექსტების ჩაწერა. ლაპარაკობდნენ ხშირად ესაუბრათ აფხაზურ ენაზე ქრთამანეთშიც კი.

ექსპედიციის ხელმძღვანელობა იკისრა ლიძავის ადგილობრივმა მცხოვრებმა, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ქ. აკობამ. იგი ექსპედიციის წევრებს ყოველდღე უტარებდა საუბრებს, ეხმარებოდა სიტყვათა ბევრი საინტერესო ფორმის გარჩევაში, დაკვირვების ობიექტთა შერჩევაში.

ლიძავის რვაწლიანმა სკოლამ, კოლმეურნე ახალგაზრდობასთან ერთად, შეხვედრა მოუწყო ექსპედიციის მონაწილე სტუდენტებს. სიტყვებით გამოვიდნენ როგორც სტუდენტები, ისე სკოლის მოსწავლეები. სტუდ. ნ. როსტიაშვილმა აფხაზურ ენაზე წაიკითხა მისასალმებელი სიტყვა. მისი ბოლო სიტყვები აღფრთოვანებულმა ტაშის გრიალმა დაფარა. აფხაზები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ექსპედიცია დაინტერესებული იყო მათი ენის შესწავლით.

მთის კავკასიურ ენათა შემსწავლელი ექსპედიციები მუშაობდნენ ყაბარდოს, ადიღესა და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკებში. სტუდენტები ხ. ხიოვე-ვი, რ. ნამიტოკოვა, ი. აბდულაევი, ნ. ჯიდალაევი და ა. აკოევი სწავლობდნენ ყაბარდოულ, ლაკურ და ხუნძური ენების დიალექტებს. ზოგი მათგანი აგროვებდა სადიპლომო შრომისათვის საჭირო მასალას.

ჩატარებული ექსპედიციების მუშაობის შედეგები დიდია. ჩვენი მოწინავე სტუდენტები სწავლობდნენ არა მარტო ენებსა და მათ დიალექტებს, არამედ მათ გაიცნეს მისი ძველი და ახალი ცხოვრება და დაამყარეს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებთან მეგობრობა.

ამჟამად ექსპედიციის მონაწილენი ამუშავებენ შეკრებილ მასალებს და მალე თავიანთ ამხანაგებს გააცნობენ ჩატარებული მუშაობის შედეგებს.

ნ. მახარაძე, თ. ღვინაძე, მ. კობალაძე და ნ. ცქიტიშვილი,

ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, ექსპედიციის წევრები.



ყველა ჩვენგანს სურს, რომ უნივერსიტეტის ყოველი კუთხე ლამაზად, სუფთად, კოპწიად გამოიყურებოდეს, ისე რომ ვერსად ვერ იგრძნო და ვერ დაინახო უსიამოვნო სურათი.

ასეთი სურათები კი, სამწუხაროდ, კიდევ არის და იგი კარგადაც აღბეჭდა ფოტოფირზე ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა. ხშირი ჩვენი უნივერსიტეტის 11 კორპუსის უკან მდებარე ტერიტორიაზე არსებულ უსუფთაობას შეეხებიან.

ქვის მოაჯირით შემოფარგლული მიწის ნაკვეთი (ცერძოდ ამ ნაკვეთის მოცემენტებული ნაწილი), მოწმობს, რომ აქ განზრახული ყოფილა მოცემენტებული მოედნის გაკეთება. მაგრამ იგი, რატომღაც უყურადღებოდ მიუტოვებიათ. ნაცვლად მოედნისა დღეს გამვლელი მხოლოდ განათხარის მიწის გროვებს, დანგრეულ ხის ყუთებს ხედავს. უკვე კარგახანია კრიაგენულ ლაბორატორიისაკენ მიმავალ გზაზე უყურადღებოდ აგდია უზარმაზარი რკინის ყუთი და მისი იქედან მოშორება კი არავის აზრად არ მოსვლია. მეტად არაჰიგიენური და არასასიამოვნოა ნაგვით სავსე რკინის ყუთების გვერდით კიდევ ზედმეტი ასეთი ნაგვის ზვინების აღმართვა და განსაკუთრებით მათი ხშირად დაწვა ხოლმე, რომლის კვამლი არც თუ ისე სასიამოვნოა როგორც გამვლელისათვის, ისე 11 კორპუსის უკანა ნაწილის აუდიტორიებში მომეცადინე სტუდენტთათვის.

კითხვა - პასუხის საღამო

უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის დღეებში ალკკ კომიტეტი აწყობს კითხვა-პასუხის საღამოს.

შეკითხვების შემოტანა შეიძლება 25 ოქტომბრამდე სტუდენტთათვის საინტერესო საკითხებზე მეცნიერების ყველა იმ დარგიდან, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში ისწავლება, აგრეთვე ხელოვნებისა და სპორტის საკითხებზე.

შეკითხვების ყუთი მოთავსებულია კომკავშირის კომიტეტის შესავალში.

ხელმოუწერელ შეკითხვებზე პასუხი არ გაიცემა.

ჩვენი სიგნალის შემდეგ

„რატომ არაა უნივერსიტეტში ფეხბურთელთა გუნდი"

ჩვენი გაზეთის 19 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო თ. ენუქიძისა და ზ. სიხარულიძის წერილი — „რატომ არაა უნივერსიტეტში ფეხბურთელთა გუნდი".

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა გვატყობინებს, რომ აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით კათედრამ უკვე მიიღო ზომები — მოიწვია მასწავლებელი და 2 ოქტომბრიდან დაიწყო ფეხბურთელთა მეცადინეობა.

ჩვენი ფოსტა

რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასე?

„ახალგაზრდა სტალინელის" ერთ-ერთ მორიგ ნომერში მოთავსებული იყო სტატია, სადაც მისი ავტორები უჩიოდნენ ფიზიოლოგიის კათედრის ძაღლებს, რომელთა ყეფაც თურმე ხელს უშლის უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ლექცია-სემინარების ჩატარებას. ეს თავისთავად აღმაშფოთებელი ფაქტია, მაგრამ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ლექტორთა და სტუდენტთა შორის ამას ირონიული ღიმილის მეტი არა გამოუწვევია რა. ასეთი ციკი რეაგირების მიზეზად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ აღმოსავლეთმცოდნეები, რომელნიც V კორპუსში არიან გადასროლილნი, ღღესასწაულად თვლიან იმ დღეს, როდესაც აუდიტორიაში მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმის და არა სხვა რამ ყურის დამატკბობელი...

ძაღლების ყეფა საერთოდ არც თუ იმდენად სასიამოვნო მოსასმენია და მით უმეტეს ლექციის მსვლელობისას, მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ, რა ჰარმონია იქმნება მაშინ, როდესაც აუდიტორიაში ერთდროულად შემოიჭრება მენავთის ზარის ხმა, მეძაწვნეთა, სხვადასხვა გამყიდველთა და გადამყიდველთა ძახილი, ბავშვების ყიჟინ-ხივილი, ძაღლების ყეფაცა და წკმუტუნიც; კატების კნავილი, რადიოლას ჰანგები და მოჩხუბარ დედაკაცთა „სალერსო" სიტყვები.

რას არ გაიგონებთ აქ!

— მაწონი... მალაკოოო! იძახის ერთი,

— სამერაბე შინდი!—გაჰყვირის მეორე.

— სტარი ადიოჟ!....

— მატყლის ჯოხი!..

—ტაჩიტ ნაჟი... ნოჟნიცი!..

— მეუსაკალი ქვაბები!.. და კიდევ რას არ გაიგონებთ აქ. აგერ ერთიც რიხიანად იძახის: — ძირტკბილა, ძირტკბილააა!...

ისმენენ ამას სტუდენტები, ისმენენ და თავის გულში ამბობენ: ვაი, რომ V კორპუსში სწავლას ტკბილი კი არა, მწარე ძირი აქვსო. ამას მარტო სტუდენტები კი არა, ლექტორებიც კარგად გრძნობენ, როცა საშუალება არ ეძლევათ ნორმალურად ჩაატარონ ლექციები.

წარმოიდგინეთ კორპუსი, რომელშიაც ზამთრობით თითქმის არაა გათბობა, რომელსაც არ გააჩნია სასაუზმე, ხასიათდება ზემოაღნიშნული ხმაურით, აუდიტორიების ნაკლებობით და გასაგები ხდება ეს სიმწარე. ეს კორპუსი უნივერსიტეტის სასწავლო შენობას მხოლოდ იმით მოგვაგონებს, რომ მის ოთახებშიაცაა დალაგებული მერხები, იქაცაა დაფები.

განა ასეთ პირობებში შეიძლება მეცადინეობა! სად თქმულა, რომ ერთ აუდიტორიაში ორი პროფესორი ერთდროულად დროს ორ სხვადასხვა ჯგუფთან კითხულობდეს ლექციას? აქაო და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე პატარა ჯგუფებიაო, ერთ აუდიტორიაში ორი კი არა ოთხი ჯგუფიც დაეტევაო, რა მოსატანია ასეთი საბუთი. V კორპუსში აუდიტორიების უქონლობის გამო ლექციები ხშირად დერეფანშიც კი იკითხება, სადაც ქარი ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში... კორპუსის ფანჯრებიდან მზის გამოჩენის ნაცვლად მეზობელთა მიერ ეზოში გამოფენილი ჭრელ-ჭრელი სარეცხი „ატკბობს თვალთა მზერას". პირველი საათიდან აუდიტორიებს ეფინება „ჩიხირთმის" სუნი, რომელსაც მეზობელი ქალი უმზადებს სკოლიდან დაბრუნებულ შვილს და სამუშაოზე წასულ მეუღლეს. იმავე სართულზე ახალგაზრდა ვაჟი რადიოლას აჭყვიტინებს, ხოლო მეოთხე სართულიდან კი ვიღაც დედაკაცი პირველი სართულის მისამართით გაჰკივის ახალ-ახალ ცნობებს, ბაზრიდან მოტანილს, იმის შესახებ, თუ რა ღირს ხორცი, კარტოფილი...

ეზოში ბავშვები თამაშობენ ფეხბურთს, მათ ყეფით და წკავწკავით დასდევენ ძაღლები. ამ დროს კი V კორპუსის აუდიტორიებში ტარდება ლექციები და თანაც აღმოსავლურ ენებში, რომლებიც ესოდენ სიწყნარესა და განსაკუთრებულ გულისხმიერებას მოითხოვენ.

არ ვიცით, ვისაა ამ კორპუსით კმაყოფილი, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი შეუფერებელია ლექციებისათვის. აქ სწავლა შეუძლებელიც არის და სამარცხვინოც. დიახ, სამარცხვინოა რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს ასეთ პირობებში ეკითხებოდეს ლექციები. მერე და რატომ ხდება ეს იმ დროს, როცა უნივერსიტეტში მიუხედავად „აუდიტორიების გადატვირთულობისა" ხშირად ნახავთ ცარიელ აუდიტორიებს.

ჩვენი აზრით, უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი იმისთვის როდი არსებობს, რომ იგი იცავდეს ქიმიის ფაკულტეტის ლაბორატორიების ყოფილ შენობას, რათა რომელიმე სხვა ორგანიზაციამ არ წაიღოს ეს ფართობი. საკითხავია ისიც, თუ რატომ უნდა მოჰყოლოდა ქიმიის ფაკულტეტისათვის ახალი შენობის აგებას აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისათვის ნორმალური სასწავლო პირობების დარღვევის ასეთი ცუდი შედეგი.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები სრულიად გამოთიშული არიან უნივერსიტეტის ცხოვრებას. წამდაუწუმ უხდებათ სირბილი ქალაქის ერთი ნაპირიდან მეორეში, ვინაიდან სასწავლო კაბინეტები, სამკითხველო დარბაზები და ბიბლიოთეკები მთავარ კორპუსებშია თავმოყრილი. ამასთან ლაბორანტი იძულებულია ტრამვაითა და ტროლეიბუსით ყოველდღიურად ატაროს მთელი ფაკულტეტის ჯგუფების ჟურნალები ენგელსის ქუჩიდან უნივერსიტეტში. V კორპუსში არ არის საპროფესორო, ისე რომ ადრე მოსულ ლექტორებს ზარის დარეკვამდე დერეფანში უხდებათ დგომა.

სტუდენტებს სასაუზმის მაგივრობას უწევს კვარტალის ბოლოს არსებული პურის წერტი. სადაც, როგორც მოგეხსენებათ, პურის მეტი არაფერი იყიდება.

განა ასეთ პირობებში შეიძლება მეცადინეობა? მაგრამ გასულ წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა საჩივარს ასე უპასუხეს: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო"...

ეს ანდაზა თვით სტუდენტებმაც კარგად იციან, მაგრამ ვერ გაუგიათ, თუ როდემდის უნდა იყვნენ ისინი ასეთ პირობებში. ანდაზის ცოდნა დიდად კარგია, მაგრამ საანდაზოდ როდი მოისურვეს მათ უნივერსიტეტში შემოსვლა.

მეხუთეკორპუსელი

რედაქტორი ირ. ჭეჟაიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-23-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 2 000. ეფ 05348.